



# IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

## ნაპოვნი ნივთების აღრიცხვის, გაცემისა და განკარგვის ინსტრუქცია

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს მიერ 28/06/2018 წ. - ოქმი №13 (დანართი №1)

### დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი  
წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე  
დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების  
განხორციელებას.

მომზადდა: კანცლერი

---

შეამოწმა: იურიდიული სამსახური

---

დაამტკიცა: მმართველი საბჭო

---

დოკუმენტის No: IBSU.R01I19.G

ვერსია: 1.00

განახლების თარიღი:

დამტკიცების თარიღი:

შეუმოწმებელი ვერსია

შემოწმებული ვერსია

28/06/2018

შსს-სკუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტს აქვს ბოლო  
განახლების ნომერი ხარისხის მართვის დოკუმენტაციის პლატფორმაზე მისი შემოწმების გზით.  
ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმართეთ დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელ  
ერთეულს.

## შინაარსი

შეტანილი ცვლილებები .....	3
ცვლილებების ნუსხა .....	4
თავი I. ზოგადი დებულებები.....	5
მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	5
მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები.....	5
მუხლი 3. უფლებამოსილი პირი .....	6
მუხლი 4. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნივთის პოვნა.....	6
მუხლი 5. ნაპოვნი ნივთის აღრიცხვისა და იდენტიფიკაციის პროცედურა .....	7
მუხლი 6. ნაპოვნი ნივთის მოთხოვნა .....	7
მუხლი 7. მოუკითხავი ნივთების შენახვა.....	7
მუხლი 8. ნაპოვნი ნივთზე საკუთრების მოპოვება .....	8
მუხლი 9. მოუკითხავი ნივთების განკარგვა .....	8
მუხლი 10. დასკვნითი დებულებები .....	8



---

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის №	თარიღი
1.			

---

თავდაპირველი რედაქცია: 28.06.2018



---

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01			

---

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე ინსტრუქცია არეგულირებს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ნაპოვნი ნივთების აღრიცხვის, იდენტიფიკაციის, დაბრუნებისა და განკარგვის წესებს. ინსტრუქცია ეხება უნივერსიტეტის სტუდენტებს, თანამშრომლებსა და სტუმრებს.
- 1.2. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ყოფნისას, უნივერსიტეტის სტუდენტები, თანამშრომლები და სტუმრები პასუხისმგებლები არიან საკუთარი ნივთების მოვლა-პატრონობაზე.
- 1.3. უნივერსიტეტი პასუხისმგებელი არ არის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უყურადღებოდ დატოვებული პირადი ნივთების დაკარგვაზე, მოპარვასა და დაზიანებაზე.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

- 2.1. დაკარგული ნივთი - უყურადღებოდ მიტოვებული, დავიწყებული ან შეუსაბამო ადგილას მოთავსებული ფიზიკური პირის ან პირთა ჯგუფის საკუთრებაში მყოფი ნებისმიერი ნივთი, რომელიც ნაპოვნი უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და მესაკუთრის იდენტიფიცირების შეუძლებლობის გამო გადაეცა უნივერსიტეტის შესაბამის უფლებამოსილ პირს.
- 2.2. მაღალი ღირებულების ნივთი – ნივთი, რომელიც ივარაუდება რომ მაღალი მატერიალური ღირებულება აქვს (მათ შორის ძვირფასეულობა, საფულე ფულადი თანხით), გასაღები, ელექტრონული მოწყობილობები (მაგ. მობილური ტელეფონი, ლეპტოპი, ფოტო/ვიდეო აპარატი);
- 2.3. პერსონალური მონაცემების შემცველი ნივთი - მაღალი ღირებულების მქონე/არმქონე ნივთი, რომელიც შეიცავს პირის პერსონალურ მონაცემებს. აღნიშნულ ნივთებს განეკუთვნება (თუმცა არ შემოიფარგლება) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/პასპორტი, საკრედიტო/სადებეტო ბარათი და მართვის მოწმობა;
- 2.4. დაბალი ღირებულების ნივთი – ყველა სხვა ნივთი, რომელიც არ განეკუთვნება მაღალი ღირებულების ნივთს ან პერსონალური მონაცემების შემცველ ნივთს წინამდებარე ინსტრუქციის მიხედვით.

### **მუხლი 3. უფლებამოსილი პირი**

- 3.1. სტუდენტურ საქმეთა სამსახური პასუხისმგებელია დაკარგული ნივთების აღრიცხვის, დაბრუნებისა და განკარგვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებაზე.
- 3.2. სტუდენტურ საქმეთა სამსახური ახორციელებს მოუკითხავი, დაკარგული ნივთების განკარგვა-განადგურების პროცესს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებით.
- 3.3. დაცვის სამსახურის წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან არასამუშაო საათებში ჩაიბარონ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნაპოვნი ნივთი და მომდევნო სამუშაო დღეს გადასცენ სტუდენტურ საქმეთა სამსახურს.

### **მუხლი 4. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნივთის პოვნა**

- 4.1. თუ პირი უნივერსიტეტის ტერიტორიაზე იპოვნის დაკარგულ ნივთს, მან ტერიტორიის დატოვებამდე უნდა მიმართოს სტუდენტურ საქმეთა სამსახურს სამუშაო საათებში, ხოლო უნივერსიტეტის დაცვის წარმომადგენლებს - არასამუშაო საათებში.
- 4.2. მპოვნელმა სტუდენტურ საქმეთა განყოფილებას უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:
  - 4.2.1. სახლი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ინფორმაცია;
  - 4.2.2. ნაპოვნი ნივთის აღწერილობა;
  - 4.2.3. პოვნის თარიღი, დრო და ადგილი.
- 4.3. მაღალი ღირებულების/პერსონალურ მონაცემების შემცველი ნივთის პოვნის შემთხვევაში, მპოვნელმა უნდა შეავსოს ნაპოვნი ნივთის წარდგენის ფორმა (R01I19F01).

### მუხლი 5. ნაპოვნი ნივთის აღრიცხვისა და იდენტიფიკაციის პროცედურა

- 5.1. სტუდენტურ საქმეთა სამსახური აღრიცხავს ნაპოვნი ნივთებს ნაპოვნი ნივთების სარეგისტრაციო ჟურნალში (R01I19F02) და აკუთვნებს მას მაღალი ღირებულების ნივთის, პერსონალურ მონაცემთა შემცველი ნივთის ან დაბალი ღირებულების ნივთის კატეგორიას.
- 5.2. სტუდენტურ საქმეთა სამსახური ცდილობს მოახდინოს ნივთის მესაკუთრის იდენტიფიცირება ნივთის დეტალური შესწავლის გზით.
- 5.3. მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოძიების პროცესი (მაგ. ისეთ ნივთებზე, როგორებიცაა: საფულე, ჩანთა), ხორციელდება ორი თანამშრომლის თანდასწრებით (თუ ეს შესაძლებელია).
- 5.4. თუ იდენტიფიცირების პროცესის შედეგად გამოვლინდა მესაკუთრე, სტუდენტურ საქმეთა სამსახური 3 სამუშაო დღის ვადაში უკავშირდება მესაკუთრეს.
- 5.5. თუ იდენტიფიცირების პროცესის შედეგად ვერ გამოვლინდა მესაკუთრე, სტუდენტურ საქმეთა სამსახური აქვეყნებს განცხადებას ნაპოვნი ნივთის შესახებ.

### მუხლი 6. ნაპოვნი ნივთის მოთხოვნა

- 6.1. ნაპოვნი ნივთის მოთხოვნისათვის, მესაკუთრემ უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და დაკარგული ნივთის მოკლე აღწერილობა. ასევე, შესაძლებლობის შემთხვევაში მიუთითოს დაკარგვის თარიღი, დრო და ადგილი. აღნიშნული ახსნა-განმარტება საჭირო არ არის, როცა დაკარგულია ისეთი ნივთი, რომელიც შეიცავს პირის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს.
- 6.2. ნაპოვნი ნივთი მესაკუთრეს გადაეცემა რეგისტრირდება ნაპოვნი ნივთების სარეგისტრაციო ჟურნალში (R01I19F02).

### მუხლი 7. მოუკითხავი ნივთების შენახვა

- 7.1. მოუკითხავი ნივთები ჩვეულებრივ ინახება ერთი წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:
  - 7.1.1. ნაპოვნი მაღალუჭეხადი ნივთები - ისინი ნადგურდება დაუყოვნებლივ;
  - 7.1.2. პერსონალური მონაცემების შემცველი ნივთები;

- ა) ინახება 5 სამუშაო დღის განმავლობაში. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, უსაფრთხოების ზომების დაცვით ეგზავნება უფლებამოსილ ორგანოს;
- ბ) ინფორმაცია ნაპოვნი საკრედიტო/სადებეტო ბარათის შესაბამისად მიეწოდება საბანკო დაწესებულებას ნივთის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.

#### **მუხლი 8. ნაპოვნი ნივთზე საკუთრების მოპოვება**

- 8.1. სტუდენტურ საქმეთა სამსახურში ნაპოვნი ნივთის ჩაბარებიდან ერთი წლის შემდეგ, მპოვნელი მოიპოვებს საკუთრებას უფლებას ამ ნივთზე, გარდა იმ შემთხვევისა როცა ნივთზე მესაკუთრის მიერ პრეტენზია განცხადებული იყო ამ პერიოდის განმავლობაში.
- 8.2. მპოვნელი ვალდებულია ერთწლიანი ვადის გასვლიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს ნივთის წაღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ მპოვნელი უარს აცხადებს საკუთრებაზე.
- 8.3. მპოვნელის მიერ ნივთზე უარის თქმის შემთხვევაში უნივერსიტეტი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

#### **მუხლი 9. მოუკითხავი ნივთების განკარგვა**

- 9.1. თუ მპოვნელი უარს განაცხადებს საკუთრებაზე უნივერსიტეტი უფლებამოსილია:
  - 9.1.1. დაბალი ღირებულების ნივთი გააჩუქოს საქველმოქმედო ორგანიზაციაზე / გაანადგუროს;
  - 9.1.2. მაღალი ღირებულების ნივთი გაყიდოს და მიიღოს მოგება.

#### **მუხლი 10. დასკვნითი დებულებები**

- 10.1. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე შინაგანაწესით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 10.2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.
- 10.3. წინამდებარე დებულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მისი მიღებისათვის დადგენილი გზით.



- 
- 10.4. წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება კანცლერის მიერ.

*უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შსს-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.*

---

*შსს ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.*

---

**გამოსცა:**

**შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131

თბილისი, საქართველო

[www.ibsu.edu.ge](http://www.ibsu.edu.ge)

[contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)

